

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი
პრიორიტეტების დოკუმენტი



თავი I ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

შესავალი


საშუალოვადაიანი დაგეგმვის პროცესი გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების იდენტიფიცირებისა და ანალიზის, გამოვლენილ საჭიროებებზე დაყრდნობით განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის, საშუალოვადაიანი პროექტებისა და აქტივობების დაგეგმვის, დამტკიცების, განხორციელებისა და ანგარიშგების ერთიან პროცესს. ამ პროცესის მეშვეობით განისაზღვრება ის ძირითადი პროგრამები და ღონისძიებები, რომლებსაც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეული განახორციელებს მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

პრიორიტეტების დოკუმენტი წარმოადგენს აღნიშნული სტრატეგიების განხორციელების მექანიზმს საშუალოვადაიან პერიოდში, ხოლო თავის მხრივ პრიორიტეტების დოკუმენტით დასახული მიზნების მიღწევისათვის ყოველწლიური ბიუჯეტის ფარგლებში იგეგმება და ხორციელდება კონკრეტული პროგრამები და ქვეპროგრამები (იხ. დანართი). ამასთან, ვინაიდან ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენა ხდება პროგრამული ბიუჯეტის ფორმატით, მასში დეტალურად გაიწერა და ნათლად წარმოჩინდა თითოეული სტრატეგიული პროგრამის და პრიორიტეტული მიმართულების ფარგლებში წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობები და მისაღები/მიღებული შედეგები, ასევე მათი შეფასების ინდიკატორები.

საშუალოვადაიანი პრიორიტეტების დოკუმენტის რეალიზაცია ორიენტირებულია ქალაქ ქუთაისში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების, შიდა და გარე პოზიციებზე ქალაქის ცნობადობისა და ადგილობრივი ეკონომიკის დინამიური ზრდის, მცირე და საშუალო ბიზნესის, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, მოსახლეობის შემოსავლების ზრდის, სიღარიბის ეტაპობრივი დამლევის, სოციალური ფონისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობაზე.


ქუთაისის შესახებ

ქუთაისი 3500 წლის ისტორიით მსოფლიოს უძველესი ქალაქების ათეულში შედის, რომელიც დღესაც ვითარდება. მისი ისტორია დაკავშირებულია არგონავტების, მედეასა და ოქროს საწმისის მითთან. ქალაქი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და წარმოადგენს იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს.



ქუთაისი ტერიტორიული სიდიდის მიხედვით საქართველოს რიგით მეორე ქალაქია დედაქალაქის შემდეგ და მისი ფართობი 70 კვ.კმ-ია. ქალაქის განაშენიანებული კვარტლები ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ გრძელდება 7,9 კმ-ზე, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 10 კმ-ზე. ქალაქის პირველადი საგზაო ქსელის სიგრძეა 231.3 კმ.


ქუთაისი თავისი გეოგრაფიული მდებარეობით მიმზიდველ პირობებს ქმნის მრავალმხრივი განვითარებისათვის. ქუთაისი მდებარეობს მიწისძვრების, მეწყერებისა და სხვა ბუნებრივი კატასტროფების დაბალი რისკის ზონაში და გარშემოტყმულია ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ტერიტორიებით. ქალაქი განსაკუთრებით მდიდარია კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობით, ასევე ცნობილია თავისი გასტრონომიითა და სტუმართმოყვარეობით. ქუთაისის მიმზიდველობას ზრდის იმერეთის რეგიონში მდებარე ორმოცდაათზე მეტი ისტორიული და სამკურნალო-რეკრეაციული დანიშნულების ადგილებთან სიახლოვე. განსაკუთრებული როლი აქვს დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტს, საიდანაც ფრენები ხორციელდება ევროპის ქვეყნებში. ასევე შიდა ფრენა მესტიის მიმართულებით. ყოველწლიურად მზარდია ფრენის მიმართულებების რაოდენობა.



ქუთაისი საქართველოს ყველა სტრატეგიულ ადგილთან საგზაო ქსელის მეშვეობითაა დაკავშირებული. მანძილი ბათუმის პორტამდე - 139 კმ, ფოთის პორტამდე -105 კმ, მანძილი დედაქალაქამდე - 225 კმ, ევროპა-აზიის დამაკავშირებელ მთავარ მაგისტრალამდე -7 კმ, მთავარ სარკინიგზო სადგურამდე -10 კმ, ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტამდე -18კმ.

ადმინისტრაციული ერთეულები.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი მოიცავს 1 მუნიციპალურ ერთეულს - ქალაქ ქუთაისს. ქალაქი დაყოფილია 12 ადმინისტრაციულ ერთეულად.



მოსახლეობა. დასაქმება.

2016 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობა 138.200 ათასი კაცია (საქართველოს მოსახლეობის 3,71 %). ქუთაისის მოსახლეობის წილი საქართველოს ურბანულ მოსახლეობაში 7.5%-დან 7%-მდე შემცირდა. შრომისუნარიანი მოსახლეობის საშუალო ასაკი 38,8 წელია, სიცოცხლის საშუალო ასაკი შეადგენს 72.9 წელს, ქალებისათვის ეს მაჩვენებელი - 77.2 წელია, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში 68.6 წელი. მიგრაციის შედეგად, ბოლო 30 წელიწადში, ქუთაისის მოსახლეობა 36%-ით შემცირდა.

ადგილობრივი თვითმმართველობა. მუნიციპალური ელექტრონული სერვისები.

ქუთაისი თვითმმართველი ქალაქის სტატუსს ატარებს. ქალაქ ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობას წარმოადგენს პირდაპირი წესით არჩეული აღმასრულებელი ორგანო - მერი და წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო.

ადგილობრივი თვითმმართველობა მისი უფლებამოსილების ფარგლებში ელექტრონული სერვისების საშუალებით ახდენს მუნიციპალური მომსახურებების ეფექტურ მიწოდებას. ამ მიზნისათვის კერძო-საჯარო პარტნიორობის, ინფორმაციის პროაქტიულობის და გამჭვირვალობის მიზნით დანერგულია შემდეგი ელექტრონული სერვისები. მერიის ოფიციალური ვებ გვერდი Kutaisi.gov.ge, კერძო სექტორს მუნიციპალურ ტენდერებში და აუქციონებში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს ვებ-გვერდების procurement.gov.ge და eauction.gov.ge

საინვესტიციო გარემო და ადგილობრივი ეკონომიკა.

ქუთაისში ბიზნესის წარმოება და ინვესტირება დაბალ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, რაც განპირობებულია ერთის მხრივ ხელმისაწვდომ უძრავ ქონებაზე და მეორეს მხრივ სამუშაო ძალაზე, მუდმივად განვითარებად ინფრასტრუქტურაზე, სიახლოვით ევროპა-აზიის მთავარ მაგისტრალთან, სარკინიგზო ხაზთან, საერთაშორისო აეროპორტთან და პორტებთან.

ქუთაისს გარს აკრავს იმერეთის 11 მუნიციპალიტეტი თავისი მჭიდროდ დასახლებული ქალაქებითა და სოფლებით, 300 ათასი მოსახლით, რომლებიც ქალაქისათვის პოტენციურ და ხელმისაწვდომ აქტიურ ძალათ მიიჩნევა და არის პოტენციური მცირე გადამამუშავებელი და აგრო საწარმოების შექმნისათვის.

საინვესტიციო მიმზიდველობისათვის ხელშემწყობ ფაქტორებს შორის გამოიკვეთება ასევე ქუთაისის იმერეთის რეკრეაციულ ზოლში მდებარეობა, რაც განპირობებულია 50-მდე არსებული საკურორტო-დასასვენებელი, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრების და კარსტული გამოქვაბულების, ბუნებრივი რესურსებისა და წიაღისეულის ხელმისაწვდომობით, ვაკე რელიეფით და კარგი კლიმატური პირობებით.

ხელმისაწვდომია ენერგომატარებლები. ქალაქი ეკონომიკური აქტივობებისათვის უზრუნველყოფილია კომუნალური ინფრასტრუქტურით: ელექტროფიცირება 100%, გაზიფიცირება 98%, სასმელი წყლით მომარაგება 99%, ინტერნეტთან წვდომა 68% და ფიჭურკავშირგამბულობა 83%. არსებობს ასევე ალტერნატიული და განახლებადი ენერჯის (მზის, ქარის) წარმოების პოტენციალი.

ქუთაისს შუაზე ყოფს მდინარე რიონი, რომელიც საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების ულევ წყლის და ელექტროენერჯის წარმოების რესურს იძლევა. ქალაქში არსებული 2 ჰიდროელექტრო სადგურის (რიონჰესი, გუმათჰესი) გამომუშავებული ენერჯია 115 მგვტ აღწევს.

ქუთაისი ფაქტობრივად ასრულებს დასავლეთ საქართველოში ვაჭრობის, მომსახურების, განათლების, ტურიზმის, ლოჯისტიკის, ჯანდაცვის ჰაბის ფუნქციას.

ქუთაისში შექმნილია ორი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა რომელთა ტერიტორიების 60%-მდე დატვირთულია და ოპერირებს 200-მდე სხვადასხვა პროფილის ბიზნეს კომპანიები. დაწესებული შეღავათიანი საგადასახადო სისტემა და მომხიბვლელი პირობები საინვესტიციო მიმზიდველობას კიდევ უფრო ზრდის.

საქართველოში არსებული საერთაშორისო შეთანხმებები და თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულებები მნიშვნელოვან პოტენციურ ინვესტორებს, ასევე ადგილობრივ მწარმოებლებს.

შეღავათიანი სავაჭრო რეგულაციები საქართველოში

- ❖ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) ევროკავშირთან
- ❖ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან (ჰონგ-კონგის ჩათვლით)
- ❖ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (FTA) EFTA - ს ქვეყნებთან (ისლანდია, ნორვეგია, შვეიცარია და ლინხტენშტეინი), უკრაინა , თურქეთი და დსთ-ს ქვეყნები
- ❖ შეთანხმება GSP აშშ, კანადასა და იაპონიასთან
- ❖ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი (WTO)
- ❖ მარტივი და მომსახურებაზე ორიენტირებული საბაჟო პოლიტიკა და ადმინისტრირება – 15 წუთში განბაჟება
- ❖ საქონლის 80% თავისუფალია იმპორტის გადასახადისგან
- ❖ არ არის რაოდენობრივი შეზღუდვები

სტიმულს აძლევს როგორც



ქუთაისი დაძმობილებულია მსოფლიოს 18 ქვეყანის 29 ქალაქთან:

- დიდი ბრიტანეთი (ნიუ პორტი);
- აზერბაიჯანი (განჯა);
- ისრაელი (აშკელონი, ჰაიფა);
- აშშ (კოლუმბია);
- უკრაინა (ნიკოლაევი, ლვოვი, ხარკოვი, ზაპოროჟიე, სუმი, ჟიტომორი, დნიპრო);
- პოლონეთი (პოზნანი, კრაკოვი, ვროცლავი);
- თურქეთი (კარშიაკა);
- უნგრეთი (სომბათჰეი);
- ჩინეთი (ნანჩანგი, ლაივუ);
- მოლდოვა (უნგენი);
- სლოვენია (მარიბოლი);
- ლატვია (ვალკა);
- ესტონეთი (ვალგა, ტარტუ);
- ბელარუსი (გომელი);
- იტალია (კოზენცა);
- ლიეტუვა (კაუნასი);
- საფრანგეთი (სტრასბურგი);
- რუმინეთი (იაში).

დაძმობილებული ქალაქები ჩართულია ქუთაისის ყოველწლიურ საერთაშორისო და ადგილობრივი მნიშვნელობის ფორუმებში, ღონისძიებებში. ხშირია დელეგაციების

ურთიერთვიზიტები, კულტურულ-ეკონომიკურ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში. დამმობილებულ ქალაქებთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქუთაისის ცნობადობის ზრდას და საინვესტიციო პოტენციალის წარმოჩენას საერთაშორისო არენაზე. მნიშვნელოვანია დამმობილებულ ქალაქებთან არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისათვის.



ქუთაისის ეკონომიკურ აქტივობებში მნიშვნელოვანი ბიძგის მიმცემია სახელმწიფო პროგრამებით განხორციელებული სუბსიდირება. „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მიხედვით მზარდია დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა.

ადგილობრივი ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამჟამად მიმდინარე მეგა პროექტები: ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი და ქუთაისის ელექტრომობილების საწარმო, რომელთა დასრულების შემდგომ შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, გაიზრდება ქალაქის ცნობადობა საერთაშორისო არენაზე, შემცირდება მიგრაციული პროცესები.

ქუთაისის ადგილობრივი ეკონომიკის სტრუქტურა დეინდუსტრიალიზაციის შემდგომ მნიშვნელოვნად შეიცვალა. რთულად, მაგრამ ნელი ტემპით მიმდინარეობს ქალაქის ეკონომიკის გამოცოცხლება. ქუთაისი ჯერ კიდევ რეალურ და მძაფრ კონკურენციაშია განვითარების რესურსებით საქართველოს დიდ ქალაქებთან. ქალაქი ეძებს ახალ შესაძლებლობებს

განვითარებისათვის, რაშიც უმნიშვნელოვანესია კერძო სექტორის, მუნიციპალიტეტების ფართო ჩართულობა.

ქუთაისის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გადამამუშავებელ მრეწველობას, მაგრამ ის არ წარმოადგენს ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ქუთაისის დასაქმებული მოსახლეობის 39% ვაჭრობა-მომსახურების სფეროზე მოდის, წარმოების სფერო კი მხოლოდ 11 % შეადგენს, შემდეგ მოდის ჯანდაცვა 10%, განათლება და სპორტი 18%, სხვადასხვა 22%.

ტურიზმი ერთ-ერთი სწრაფად მზარდი ინდუსტრიაა ქალაქში და ხასითდება დადებითი ეკონომიკური ეფექტურობით. ამ სექტორში ნელ-ნელა იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა, შესამჩნევი ხდება ინვესტიციების ზრდის ტენდენციები.

ქუთაისში ფუნქციონირებს დასავლეთ საქართველოში სიდიდით გამორჩეული იმერეთის მიმართულების მართვის ორგანიზაცია (DMO), რომელიც თავისი საქმიანობით პოპულარიზაციას უწევს ტურიზმის პოტენციალს, ამზადებს და ავრცელებს საიმიჯო კლიპებს, სისტემატიურად აწვობს ინფო ტურებს და მონაწილეობს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებზე, რითაც ხელი ეწყო როგორც ქუთაისის, ასევე იმერეთის რეგიონის ტურისტული ინდუსტრიის პოპულარიზაციას და მოქნილ, კონკურენტუნარიან რეგიონად წარმოჩენას.

ქალაქში მომატებული ტურისტების რაოდენობა ბიძგს აძლევს სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას. კვლავ მცირეა საერთაშორისო ბრენდირებული სასტუმროების რაოდენობა, თუმცა იზრდება საოჯახო ტიპის სასტუმრო-სახლები და ჰოსტელები. ქუთაისი დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს, სადაც მოქმედი აგრობაზრობები, სავაჭრო-სადისტრიბუციო ცენტრები უზრუნველყოფენ რეგიონის სავაჭრო აქტივობებს, მაგრამ არასაკმარისად განვითარებული სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები სრულად ვერ პასუხობენ ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს. მიუხედავად არსებული გამარტივებული სარეგისტრაციო პროცედურების და მზარდი ახლად რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტებისა, მცირეა მათი სიცოცხლისუნარიანობა. წარმოებაში არსებული დაბალი კონკურენტუნარიანობა, არსებული ამორტიზებული ტექნიკა, არასაკმარისი მიწა და ინფრასტრუქტურა, დაფინანსების მიღებისათვის დაწესებული საბანკო პირობები და მაღალი საპროცენტო განაკვეთები, არაკვალიფიციური კადრები, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე პარტნიორების ნაკლებობა ბიზნესის ძირითადი ბარიერებია.

ქუთაისი ცდილობს, გაუმკლავდეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები, სახელმწიფო პროგრამები და ადგილობრივი ბიუჯეტი საკმარისი არ არის ქალაქის ინკლუზიური ეკონომიკის განვითარებისთვის. აშკარად შესამჩნევი ხდება კერძო ინვესტიციების, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების ნაკლებობა. არასაკმარისად არის განვითარებული კერძო და საჯარო სექტორში რესსურს დამზოგი ტექნოლოგიები და ენერგოეფექტური სისტემები.


ქუთაისი საქართველოს ურბანული ეკონომიკის ქალაქების დიდ ოთხეულში შედის, სადაც თანმიმდევრულად იზრდება ადგილობრივი ეკონომიკა, შესაძლებელია ზრდის პროცესი კიდევ მეტად პროდუქტიული გახდეს საერთაშორისო ფირმებისა და დონორ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის განვითარებით, რომლებსაც შეუძლია ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა ადგილობრივი ბიზნესის განვითარებისათვის. საინვესტიციო მიმზიდველ

დარგებად მიიჩნევა უძრავი ქონება, ტრანსპორტი, მშენებლობა, მცირე საწარმოები, სასტუმრო ინდუსტრია.

კვლავ შეუმუშავებელია მიწათსარგებლობისა და განაშენიანების გეგმა, რაც უძრავი ქონების და სამშენებლო სექტორში ინვესტირებას აფერხებს. თუმცა ბიზნეს სექტორისათვის კვლავინდებურად ინტერესის სფეროს წარმოადგენს თავისუფალი მუნიციპალური უძრავი ქონება.

საშუალოვადიან პერესპექტივაში ინვესტირების ზრდა დამოკიდებული იქნება სისტემურ ხელისშემშლელ ფაქტორებთან გამკლავებაზე. ადგილობრივი თვითმმართველობა პრიორიტეტად მიიჩნევს იმ სისტემური ბარიერების მოხსნას, რომელიც მის კომპეტენციაშია და დაძლევადია ქალაქის რესურსებით: ა) სივრცითი განვითარების და მიწათსარგებლობის გეგმის დასრულება, აქტივების (მიწა და შენობა-ნაგებობები) აღწერა, სისტემატიზაცია და ელექტრონული სერვისების დანერგვა დაინტერესებულ პირთათვის დისტანციურად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; ბ) ქალაქის ტურისტული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს საჭირო ცოდნისა და გამოცდილების არსებობას, ახალი ტურისტული ატრაქციებისა და პროდუქტების შექმნას მეზობელ მუნიციპალიტეტებთან, ცენტრალურ უწყებებთან და ბიზნესთან მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობით.

მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი



მუნიციპალიტეტის ხედვა და მისია

ქუთაისის განვითარების საშუალო ვადიანი ხედვა

ქუთაისის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალო ვადიანი პრიორიტეტების წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში განვითარების ხედვა წარმოადგენს იმ სამომავლო მისწრაფებებსა და მდგომარეობას, რომლის დადგომაც ივარაუდება მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის და სტრატეგიის, ასევე, სხვა დარგობრივი სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების, მუნიციპალური თუ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების, სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების განხორციელების შედეგად. ცხადია, მხოლოდ წინამდებარე პრიორიტეტების დოკუმენტის განხორციელება არ იქნება საკმარისი იმისათვის, რომ მივაღწიოთ ხედვაში დაფიქსირებულ სასურველ ვითარებას. თუმცა, ამ დოკუმენტში დასახული საშუალოვადიანი პრიორიტეტების შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იმ სასურველი მდგომარეობის დადგომას, რასაც ქალაქის განვითარების ხედვა ითვალისწინებს. ხედვის, როგორც ყოვლისმომცველი, საბოლოო მიზნის მისაღწევად აუცილებელია ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში სამოქალაქო და კერძო სექტორის, აკადემიური წრეებისა და დონორების ფართო ჩართულობა, რომელთა ინიციატივები, პროექტები და პროგრამები თავის დადებით წვლილს შეიტანს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში.

ხედვა: ქუთაისი - დასავლეთ საქართველოს ლიდერი ქალაქია, სადაც არსებული რესურსების ეფექტიანი და მდგრადი გამოყენებით უზრუნველყოფილია ყველასათვის თანაბარი განვითარების შესაძლებლობები. ის ადმინისტრაციულ, საკონსულტაციო და საყოფაცხოვრებო მომსახურებას უწევს დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას და ბიზნეს სტრუქტურებს; მიმზიდველია საცხოვრებლად, სამუშაოდ, ბიზნესის კეთებისათვის, განათლების მისაღებად, ტურიზმისა და დასვენებისათვის, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ქალაქის სტუმართათვის.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია

ქუთაისის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი მისია აკონკრეტებს თვითმმართველი ერთეულის სამოქმედო პრიორიტეტებს მომდევნო რამდენიმე წლისათვის. მასში წარმოდგენილია მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი შედეგების ერთობლიობა, რომელთა მიღწევაზეც თვითმმართველი ორგანო პასუხისმგებლობას იღებს.

მისია: ქუთაისი არის ეკონომიკურად ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ქალაქი საქართველოში, რომელიც დაკავშირებული მხარეების ფართო ჩართულობით უზრუნველყოფს:

- მაღალი ხარისხის განათლების სერვისის მიწოდებას;
- მაღალი ხარისხის ადმინისტრაციული, საკონსულტაციო და საყოფაცხოვრებო სერვისის მიწოდებას;

- საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას;
- საქალაქო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას;
- ქალაქის ცნობადობის გაზრდას;
- ტურისტული ატრაქციების გაუმჯობესებას და მათი მიმზიდველობის ზრდას;
- გამართული სპორტული და კულტურული ინფრასტრუქტურის შექმნას;
- ეკოლოგიური და გამწვანების სტანდარტების დაცვას.

წინამდებარე მისიის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტი მჭიდრო თანამშრომლობას წარმართავს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან, სამხარეო ადმინისტრაციასთან და რეგიონის სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, დონორებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციებთან, მედიასთან, ბიზნესსექტორსა და დაინტერესებულ მხარეთა სხვადასხვა სპექტრთან, რათა შეიმუშავოს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შესთავაზოს მათ საჭიროებებზე მორგებული მომსახურებები.

თავი II ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლებისა და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებლები

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი			2024 წლის პროგრნოზი	2025 წლის პროგრნოზი	2026 წლის პროგრნოზი
			სულ	მათ შორის:				
				წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები			
1	2	3	6	7	8	9	10	11
შემოსავლები	75,094.4	107,412.4	81,181.2	1,055.2	80,126.0	85,678.8	91,426.0	97,311.6
გადასახადები	52,614.0	58,545.0	65,440.8	0.0	65,440.8	71,013.8	76,471.0	82,216.6
გრანტები	14,040.5	32,929.5	1,935.4	1,055.2	880.2	320.0	350.0	350.0
სხვა შემოსავლები	8,439.9	15,937.9	13,805.0	0.0	13,805.0	14,345.0	14,605.0	14,745.0
ხარჯები	60,864.1	81,270.0	82,913.3	0.0	82,913.3	82,885.0	83,822.0	84,877.0
შრომის ანაზღაურება	26,961.5	33,367.4	39,798.5	0.0	39,798.5	38,470.0	38,670.0	38,870.0

საქონელი და მომსახურება	17,032.7	20,548.4	20,615.9	0.0	20,615.9	21,161.0	21,713.0	22,185.0
პროცენტი	1,520.0	2,758.8	2,551.6	0.0	2,551.6	2,120.0	1,691.0	1,571.0
სუბსიდიები	5,711.0	9,037.4	8,393.5	0.0	8,393.5	9,670.0	9,722.0	9,773.0
გრანტები	216.3	182.0	185.0	0.0	185.0	190.0	190.0	190.0
სოციალური უზრუნველყოფა	4,840.1	5,541.1	6,967.0	0.0	6,967.0	6,975.0	7,239.0	7,404.0
სხვა ხარჯები	4,582.5	9,834.9	4,401.8	0.0	4,401.8	4,299.0	4,597.0	4,884.0
საოპერაციო სალდო	14,230.3	26,142.4	-1,732.1	1,055.2	-2,787.3	2,793.8	7,604.0	12,434.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	9,489.0	40,620.7	6,973.0	7,858.7	-885.7	6,735.0	7,075.0	10,365.0
ზრდა	18,329.3	50,120.7	14,973.0	7,858.7	7,114.3	15,735.0	16,575.0	19,865.0
კლება	8,840.3	9,500.0	8,000.0	0.0	8,000.0	9,000.0	9,500.0	9,500.0
მთლიანი სალდო	4,741.3	-14,478.3	-8,705.1	-6,803.5	-1,901.6	-3,941.2	529.0	2,069.6
ფინანსური აქტივების ცვლილება	4,217.4	-15,054.8	-	-6,803.5	-5,500.0	-7,871.2	-3,471.0	-1,219.4
ზრდა	15,246.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	15,246.3		0.0					
კლება	11,028.9	15,054.8	12,303.5	6,803.5	5,500.0	7,871.2	3,471.0	1,219.4
აქციები და სხვა კაპიტალი	11,028.9	15,054.8			5,500.0	7,871.2	3,471.0	1,219.4
ვალდებულებების ცვლილება	-523.9	-576.5	-3,598.4	0.0	-3,598.4	-3,930.0	-4,000.0	-3,289.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო			0.0					
საგარეო			0.0					
კლება	523.9	576.5	3,598.4	0.0	3,598.4	3,930.0	4,000.0	3,289.0
საშინაო	523.9	576.5	3,598.4	0.0	3,598.4	3,930.0	4,000.0	3,289.0
საგარეო			0.0					
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

2021 წლის ბიუჯეტის ანალიზი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2020 წლის 30 დეკემბერს, ქალაქ ქუთაისის საკრებულოს N167 დადგენილებით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტში შევიდა 7 ცვლილება და წლის ბოლოს 92088.4 ათასი ლარი შეადგინა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის ბალანსის შესრულება


თანხა ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა			2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			შესრულება %-ში		
	გეგმა სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები	ფაქტი სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები	წლიური შესრულება	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები
შემოსავლები	78 056,4	64 241,5	13 814,9	75 094,4	61 380,7	13 713,7	96%	96%	99%
გადასახადები	49 239,6	49 239,6	0,0	52 614,0	52 614,0	0,0	107%	107%	
გრანტები	14 720,9	906,0	13 814,9	14 040,5	326,8	13 713,7	95%	36%	99%
სხვა შემოსავლები	14 095,9	14 095,9	0,0	8 439,9	8 439,9	0,0	60%	60%	
ხარჯები	65 799,3	64 449,0	1 350,3	60 864,3	59 543,8	1 320,5	92%	92%	98%
შრომის ანაზღაურება	27 087,9	27 087,9	0,0	26 961,5	26 961,5	0,0	100%	100%	
საქონელი და მომსახურება	18 548,3	18 548,3	0,0	16 185,6	16 185,6	0,0	87%	87%	
პროცენტი	1 566,0	1 566,0	0,0	1 520,0	1 520,0	0,0	97%	97%	
სუბსიდიები	5 942,1	5 942,1	0,0	5 711,1	5 711,1	0,0	96%	96%	
გრანტები	221,4	221,4	0,0	216,3	216,3	0,0	98%	98%	
სოციალური უზრუნველყოფა	5 080,4	5 080,4	0,0	4 854,8	4 854,8	0,0	96%	96%	
სხვა ხარჯები	7 353,2	6 002,9	1 350,3	5 415,0	4 094,5	1 320,5	74%	68%	98%
საოპერაციო სალდო	12 257,1	-207,5	12 464,6	14 230,1	1 836,9	12 393,2	116%		99%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	22 645,9	9 346,0	13 299,9	9 488,9	1 740,5	7 748,4	42%	19%	58%
ზრდა	28 745,9	15 446,0	13 299,9	18 329,2	10 580,8	7 748,4	64%	69%	58%
კლება	6 100,0	6 100,0	0,0	8 840,3	8 840,3	0,0	145%	145%	
მთლიანი სალდო	-10 388,8	-9 553,5	-835,3	4 741,2	96,4	4 644,8			
ფინანსური აქტივების ცვლილება	-10 913,8	-10 078,5	-835,3	4 217,3	-427,5	4 644,8			
ზრდა	0,0	0,0	0,0	4 217,3	0,0	4 644,8			

დასახელება	2021 წლის ბიუჯეტის გეგმა			2021 წლის ბიუჯეტის ფაქტი			შესრულება %-ში		
	გეგმა სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები	ფაქტი სულ	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები	წლიური შესრულება	საკუთარი სახსრები	სახელმწიფო ფონდები
ვალუტა და დეპოზიტები				4 217,3		4 644,8			
კლება	10 913,8	10 078,5	835,3	0,0	427,5	0,0	0%	4%	0%
ვალუტა და დეპოზიტები	10 913,8	10 078,5	835,3		427,5		0%	4%	0%
ვალდებულებების ცვლილება	-525,0	-525,0	0,0	-523,9	-523,9	0,0	100%	100%	
ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0			
საშინაო									
საგარეო									
კლება	525,0	525,0	0,0	523,9	523,9	0,0	100%	100%	
საშინაო	525,0	525,0	0,0	523,9	523,9	0,0	100%	100%	

2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლები სახეების მიხედვით

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლებმა (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) 75094.4 ათასი ლარი შეადგინა, გეგმა განსაზღვრული იყო 78056.4 ათასი ლარით.



საგადასახადო შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 53%-ს (52614.0 ათასი ლარი) შეადგენს. იგი შედგება შემოსავლის 2 წყაროსგან: ქონების და დღგ-ს განაწილებიდან მისაღებ შემოსავლებად. ქონების გადასახადის სახით მიღებული 12752.7 ათასი ლარის შემოსავალი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ქონებაზე იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ გადახდილ ქონების გადასახადს. გადასახადების პროგნოზირებულ მაჩვენებლებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს განუსაზღვრავს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, რომელიც, ასევე ახორციელებს გადასახადების ადმინისტრირებას ბიუჯეტში. დამატებითი ღირებულების გადასახადიდან მიღებული 39861.3 ათასი ლარი წარმოადგენს ცენტრალურ ხელისუფლებასა და თვითმმართველობებს შორის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დღგ-ს განაწილებით მიღებულ სახსრებს.

გრანტების სახით მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 14%-ს (14040.5 ათასი ლარი) შეადგენს. იგი შედგება: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის, ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისათვის გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისაგან. მიზნობრივი ტრანსფერი - 250,0 ათასი ლარი; კაპიტალური ტრანსფერი - 13713.7 ათასი ლარი; საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები - 76.8 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 8%-ს (8439.9 ათასი ლარი) შეადგენს. სხვა შემოსავლების შევსების ძირითად წყაროს წარმოადგენს ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 3252.0 ათასი ლარი და სანქციები (ჯარიმები და საურავები) - 2865.8 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებისგან - ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები მთლიანი შემოსულობების 9%-ს (8840.3 ათასი ლარი) შეადგენს.

ფინანსური აქტივების ცვლილებამ 2021 წლის განმავლობაში შეადგინა +4217.3 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშებზე 2021 წლის 1 იანვრისათვის ნაშთის სახით ირიცხებოდა 11028.5 ათასი ლარი, ხოლო 2022 წლის 1 იანვრისათვის ნაშთის მოცულობამ შეადგინა 15245.8 ათასი ლარი.

აღებული ვალდებულებების დასაფინანსებლად 2021 წლის ბიუჯეტიდან გადაირიცხა 523.9 ათასი ლარი ძირის სახით, ხოლო პროცენტის სახით - 1566,0 ათასი ლარი. 2015–2025 წლებში, ნიკვას ქუჩის რეაბილიტაციისათვის დასაფარი ვალდებულება შეადგენს 2258,9 ათას ლარს, ხოლო, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს“ შორის ხელმოწერილი პროექტის ქონების გადაცემის ხელშეკრულების (2018–2026 წლები) შესაბამისად, დასაფარი ვალდებულება შეადგენს 439,4 ათას ლარს, ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის სამგზავრო ავტობუსებისა და მისი სათადარიგო ნაწილების გადაცემისათვის დასაფარი ვალდებულება (2021–2029 წლები) შეადგენს 22679,5 ათას ლარს. შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გასასტუმრებელი ვალის ნაშთი 2022 წლის 1 იანვრისათვის შეადგენს 25377,8 ათას ლარს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

თანხა ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	12 243,0	11 458,3	94%
7011	ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	7 865,0	7 498,2	95%
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	1 566,0	1 520,0	97%
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	2 812,0	2 440,1	87%
704	ეკონომიკური საქმიანობა	17 632,5	11 148,6	63%
7045	ტრანსპორტი	15 912,5	9 802,9	62%
7047	ეკონომიკის სხვა დარგები			
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1 720,0	1 345,7	78%
705	გარემოს დაცვა	9 631,9	8 155,4	85%
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	5 370,8	5 346,3	100%
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	4 261,1	2 809,1	66%
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	17 453,1	13 337,1	76%
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	3 250,5	2 636,5	81%
7064	გარეგანათება	3 620,0	3 291,1	91%
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	10 582,6	7 409,5	70%
707	ჯანმრთელობის დაცვა	1 547,8	1 513,9	98%
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	266,8	259,9	97%
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1 281,0	1 254,0	98%
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	17 938,3	16 492,4	92%
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	10 003,3	8 949,4	89%
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	7 628,7	7 358,8	96%
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	100,0	97,7	98%
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	206,3	86,5	42%

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა	2021 წლის ფაქტი	შესრულება %-ში
709	განათლება	13 472,6	12 710,4	94%
7091	სკოლამდელი აღზრდა	12 250,0	11 872,2	97%
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	1 222,6	838,2	69%
710	სოციალური დაცვა	4 626,0	4 377,4	95%
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	4626,0	4377,4	95%
	სულ	94 545,2	79 193,5	84%

2022 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულება

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2021 წლის 29 დეკემბრის საკრებულოს N5 დადგენილებით. 9 თვის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელდა 4 ცვლილება და საბოლოოდ დაზუსტდა 131967,2 ათასი ლარით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 22 წლის ბიუჯეტის 9 თვის ფაქტობრივმა შემოსავალმა (ნაშთის/ფინანსური აქტივის გამოკლებით) 76387,1 ათასი ლარი შეადგინა,

ბიუჯეტის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები წარმოდგენილია ბალანსის სახით:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის ბალანსი

დასახელება	2022 წელი		
	დაზუსტებული გეგმა	9 თვის გეგმა	საკასო შესრულება
შემოსავლები	107,412.4	69,878.9	70,209.3
გადასახადები	58,545.0	44,969.0	45,053.5
გრანტები	32,929.5	17,416.9	17,417.0
სხვა შემოსავლები	15,937.9	7,493.0	7,738.8

ხარჯები	84,024.0	57,240.0	56,960.9
შრომის ანაზღაურება	32,454.0	23,880.0	23,876.8
საქონელი და მომსახურება	20,959.1	14,400.0	14,390.5
პროცენტი	2,758.8	2,700.0	2,681.6
სუბსიდიები	9,127.0	6,110.0	6,009.8
გრანტები	177.0	140.0	133.1
სოციალური უზრუნველყოფა	5,997.3	4,150.0	4,033.4
სხვა ხარჯები	12,550.8	5,860.0	5,835.7
საოპერაციო სალდო	23,388.4	12,638.9	13,248.4
არაფინანსური აქტივების ცვლილება	37,866.7	21,424.8	21,075.6
ზრდა	47,366.7	27,424.8	27,253.4
კლება	9,500.0	6,000.0	6,177.8
მთლიანი სალდო	-14,478.3	-8,785.9	-7,827.2
ფინანსური აქტივების ცვლილება	-15,054.8	-9,215.9	-8,227.8
ზრდა	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი			
სხვა დებიტორული დავალიანებები			
კლება	15,054.8	9,215.9	8,227.8
აქციები და სხვა კაპიტალი	15,054.8	9215.9	8227.8
ვალდებულებების ცვლილება	-576.5	-430.0	-400.6
ზრდა			
კლება	576.5	430.0	400.6
საშინაო	576.5	430.0	400.6
ბალანსი	0.0	0.0	0.0

ბიუჯეტის შემოსულობები

2022 წლის ბიუჯეტის მთლიანი შემოსულობების 9 თვის ფაქტიური შესრულება შეადგენს 84614,9 ათას ლარს, მათ შორის: შემოსავლების კუთხით ბიუჯეტში შემოსულმა თანხამ 70209,3 ათასი ლარი შეადგინა; არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 6177,8 ათასი ლარი; ფინანსური აქტივის სახით შემოსავალი შეადგენს 8227,8 ათას ლარს.

სახეების მიხედვით შემოსავლები შემდეგნაირად განაწილდა:

დასახელება	2022 წლის 9 თვის გეგმა	ფაქტობრივი შემოსავლები 9 თვეში	%
გადასახადები	44,969.0	45,053.5	100.2
გრანტები	17,416.9	17,417.0	100.0
სხვა შემოსავლები	7,493.0	7,738.8	103.3
სულ	69,878.9	70,209.3	100.5

გადასახადები

ქალაქ ქუთაისის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახადებიდან 9 თვეში შემოვიდა 45053,5 ათასი ლარი, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 35689,0 ათას ლარს.

გრანტები

2022 წლის 9 თვეში გრანტების სახით ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხა 17417,0 ათასი ლარი, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები -232,9 ათასი ლარი;

მიზნობრივი ტრანსფერი - 209,7 ათასი ლარი;

კაპიტალური ტრანსფერი - 16974,4 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლები

სხვა შემოსავლების ფაქტობრივმა შესრულებამ 9 თვეში 7738,8 ათასი ლარი შეადგინა

შემოს. კლას. კოდი	დასახელება	2022 წელი			
		დაზუსტებული გეგმა	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი	%

1.4	სხვა შემოსავლები	15,937.9	7,493.0	7,738.8	103.3
1.4.1	შემოსავლები საკუთრიდან	1,350.0	880.0	959.0	109.0
1.4.1.1	პროცენტები	1000.00	750.0	713.9	95.2
1.4.1.2	დივიდენდი	60.00			
1.4.1.5	რენტა	290.0	130.0	245.1	188.5
1.4.1.5.1	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	200.0	170.0	190.9	112.3
1.4.1.5.4	შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	90.0	70.0	54.2	77.4
1.4.2	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	4,315.0	2,903.0	2,975.0	102.5
1.4.2.2	ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	3,745.0	2,653.0	2,726.9	102.8
1.4.2.2.12	სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	5.0	3.0	4.4	146.7
1.4.2.2.13	სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	1040.0	750.0	787.5	105.0
1.4.2.2.14	მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2100.0	1,500.0	1,624.5	108.3
1.4.2.2.15	კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის მოსაკრებელი	0.0	0.0		
1.4.2.2.3	სანებართვო მოსაკრებლები	600.0	400.0	310.5	77.6
1.4.2.2.9	საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	0.0	0.0		
1.4.2.2.99	სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.0		
1.4.2.3	არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	570.0	250.0	248.1	99.2
1.4.3	სანქციები (ჯარიმები და საურავები)	3,750.0	2,820.0	3,042.4	107.9
1.4.3.1	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო	3500.0	2,625.0	2,818.2	107.4
1.4.3.4	შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო	200.0	170.0	206.7	121.6
1.4.3.9	შემოსავალი სხვა არაკლასიფიცირებული სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები)	50.0	25.0	17.5	70.0

1.4.4	ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	6,522.9	890.0	762.4	85.7
1.4.4.1.2.4	შემოსავალი ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების უფლების გადაცემიდან	125.0	70.0	60.0	85.7
1.4.4.1.2.7	შემოსულობა ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვაზე	600.0	350.0	240.6	68.7
1.4.4.1.2.99	სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	5,797.9	470.0	461.8	98.3
1.4.4.1.2.99.4	შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან	400.0	170.0	161.0	94.7
1.4.4.1.2.99.9	წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები			15.8	
1.4.4.1.2.99.99	სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები	5397.9	300.0	285.0	95.0

მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის ბიუჯეტში მობილიზებულია 190,9 ათასი ლარი, გეგმა (170,0 ათასი ლარი) შესრულდა 112,3%-ით.

შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან, ფაქტობრივად მიღებულია 54,2 ათასი ლარი, გეგმა (70.0 ათასი ლარი) შესრულდა 77,4%-ით.

სანებართვო მოსაკრებლებიდან 9 თვეში ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 310,5 ათასი ლარი, გეგმა (400,0 ათასი ლარი) შესრულდა 77,6%-ით.

ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის გეგმა განისაზღვრა 1500,0 ათასი ლარით, ფაქტობრივი შესრულება – 1624,5 ათასი ლარი (108,3%).

არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება ბიუჯეტში შემოსულია 248,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (250,0 ათასი ლარი) 99,2%-ია.

ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 3042,4 ათასი ლარი, გეგმა (2820,0 ათასი ლარი) შესრულდა 107,9%-ით.

სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების შესრულებაა - 461,8 ათასი ლარი, გეგმა 470,0 ათას ლარს (98,3%).

არაფინანსური აქტივების კლება

2022 წლის 9 თვის მანძილზე არაფინანსური აქტივების კლებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია 6177,8 ათასი ლარი, აქედან, 2948,0 ათასი ლარი წარმოადგენს შემოსავალს ძირითადი აქტივების გაყიდვიდან და 3229,8 ათასი ლარი - შემოსავალს არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან.

დასახელება	9 თვის გეგმა	ფაქტიური შესრულება	%
არაფინანსური აქტივები	6,000.0	6,177.8	103.0
შემოსულობა ძირითადი აქტივების გაყიდვიდან	2,500.0	2,948.0	117.9
შემოსულობა არაწარმოებული აქტივის (მიწის) გაყიდვიდან	3,500.0	3,229.8	92.3

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის სახით შემოსავალი შეადგენს 15246,8 ათას ლარს, აქედან III კვარტლის ხარჯებისა და შემოსავლების დაბალანსებისათვის გამოყენებულია 8227,8 ათასი ლარი.

ბიუჯეტის გადასახდელები

2022 წლის 9 თვეში, ბიუჯეტის გადასახდელების საკასო შესრულებამ შეადგინა 84614.9 ათასი ლარი.

22 წლის 9 თვის გადასახდელების შესრულება ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით:

დასახელება	2022 წელი			
	დაზუსტებული გეგმა	9 თვის გეგმა	9 თვის საკასო ხარჯი	%
გადასახდელები	131,967.2	85,094.8	84,614.9	99.4
ხარჯები	84,024.0	57,240.0	56,960.9	99.5
შრომის ანაზღაურება	32,454.0	23,880.0	23876.8	100.0
საქონელი და მომსახურება	20,959.1	14,400.0	14390.5	99.9
პროცენტი	2,758.8	2,700.0	2681.6	99.3
სუბსიდიები	9,127.0	6,110.0	6009.8	98.4

გრანტები	177.0	140.0	133.1	95.1
სოციალური უზრუნველყოფა	5,997.3	4,150.0	4033.4	97.2
სხვა ხარჯები	12,550.8	5860.0	5835.7	99.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	47,366.7	27,424.8	27253.4	99.4
ვალდებულებების კლება	576.5	430.0	400.6	93.2

ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით 2022 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება:

N	დასახელება	2022 წელი			
		დაზუსტებული გეგმა	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი	%
20	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი ხარჯები	131,967.2	85,094.8	84,614.9	99.4
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	15,266.3	11,820.0	11,771.9	99.6
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	9,630.4	7,025.0	7,016.1	99.9
01 01 01	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1,770.0	1,280.0	1,278.0	99.8
01 01 02	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია	7,481.4	5,515.0	5,512.5	100.0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	315.0	210.0	206.8	98.5
01 01 04	საჯარო მოსამსახურეთა სწავლება - გადამზადება	64.0	20.0	18.8	94.0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	5,635.9	4,795.0	4,755.8	99.2
01 02 01	სარეზერვო ფონდი	900.0	800.0	798.5	99.8
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	27.1	17.0	16.1	94.7
01 02 03	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა (მ.გ.ფ.)	3,335.3	3,100.0	3,082.2	99.4
01 02 04	საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა	140.0	110.0	103.4	94.0

01 02 08	ააიპ ქალაქ ქუთაისის არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტო	315.0	300.0	299.2	99.7
01 02 09	საგრანტე პროგრამა escapeland - ტურიზმის განვითარება და პოპულარიზაცია შავი ზღვის აუზის ქვეყნებში	270.0	53.0	51.5	97.2
01 02 10	ქვეყანაში გავრცელებული პანდემიის მართვის ხელშეწყობა	100.0	95.0	91.2	96.0
01 02 11	საგრანტე პროგრამა EU4CULTURE	68.5	70.0	68.3	97.6
01 02 12	ა(ა)იპ ქუთაისის მუნიციპალური ინსპექცია	480.0	250.0	245.4	98.2
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	53,335.8	32,306.5	32,049.6	99.2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	20,159.8	16,210.0	16,192.5	99.9
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	17,069.2	14,300.0	14,289.5	99.9
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	915.9	730.0	727.8	99.7
02 01 03	სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობა	1,925.4	1,010.0	1,009.0	99.9
02 01 05	ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემების შექმნა-ექსპლოატაცია	249.3	170.0	166.2	97.8
02 03	გარე განათება	3,850.0	2,600.0	2,567.7	98.8
02 03 01	გარეგანათების ქსელის ექსპლუატაცია	3,850.0	2,600.0	2,567.7	98.8
02 03 02	კაპიტალური დაბანდებები გარეგანათების სფეროში				
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტებისა და შენობების რეაბილიტაცია	1,671.0	710.0	702.3	98.9
02 04 01	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საცხოვრებელი სახლების ავარიული სახურავების რეაბილიტაცია	150.0			
02 04 02	ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობა	805.6	515.0	512.1	99.4
02 04 03	ადმინისტრაციული ორგანოების შენობების მშენებლობა - რეკონსტრუქცია	715.4	195.0	190.2	97.5
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	5,402.6	2,866.5	2,820.9	98.4
02 05 01	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა	795.5	640.0	638.3	99.7
02 05 02	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია	492.1	490.0	482.1	98.4
02 05 03	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა	90.5			
02 05 04	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების წყალსაწრეტი მილებისა და პარაპეტების რეაბილიტაცია	131.7	65.0	61.7	94.9

02 05 05	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია	139.5	70.0	69.4	99.1
02 05 06	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია	1,543.3	1,300.0	1,272.9	97.9
02 05 07	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სახეობის მასალის შექმნა- გადაცემა და დაზიანებული სახურავების (ბრტყელი, ქანობიანი) კაპიტალური შეკეთება	1,380.0	280.0	275.4	98.4
02 05 08	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სარდაფებში დამდგარი წყლის ამოტუმბვის სამუშაოები	30.0	21.5	21.1	98.1
02 05 10	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (სიდა სამუშაოების გათვალისწინებით)	800.0			
02 06	ქალაქის კეთილმოწყობა	12,542.3	4,570.0	4,536.3	99.3
02 06 01	ქალაქ ქუთაისში ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	5,620.2	1,450.0	1,426.2	98.4
02 06 02	ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით თავისუფალი ინიციატივების განხორციელება	958.1	400.0	399.7	99.9
02 06 03	მემორიალური დაფებისა და პანთეონების მოვლა, პატრონობა	30.0	25.0	23.5	94.0
02 06 04	მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია	4,629.6	1,890.0	1,882.7	99.6
02 06 05	სადღესასწაულო ღონისძიებების ტექნიკური უზრუნველყოფა	300.0	15.0	14.8	98.7
02 06 06	შადრევან-აუზების ექსპლოატაცია- რეაბილიტაცია	1,004.4	790.0	789.4	99.9
02 07	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	7,920.1	4,450.0	4,349.4	97.7
02 09	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება	340.0			
02 10	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოების პროგრამა	850.0	500.0	488.9	97.8
02 11	საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება	600.0	400.0	391.6	97.9
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	13,195.4	8,020.0	8,002.1	99.8
03 01	ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	6,879.1	4,900.0	4,883.0	99.7
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა, განვითარება	6,316.3	3,120.0	3,119.1	100.0
03 02 01	ქალაქის გამწვანების მოვლა-პატრონობისა და სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებები	6,316.3	3,120.0	3,119.1	100.0
04 00	განათლება	16,493.9	11,450.0	11,441.6	99.9
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	14,250.0	10,620.0	10,616.2	100.0

04 02	საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება	2,061.9	710.0	707.5	99.6
04 03	განათლების ღონისძიებები	182.0	120.0	117.9	98.3
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	24,652.7	15,300.0	15,240.0	99.6
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	15,109.2	8,430.0	8,399.4	99.6
05 01 01	სპორტულ დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	5,100.0	3,750.0	3,749.3	100.0
05 01 02	კალათბურთის განვითარება	1,135.0	1,070.0	1,054.2	98.5
05 01 03	ხელბურთის განვითარება	256.0	200.0	190.3	95.2
05 01 04	ქალთა ფეხბურთისა და ფუტსალის განვითარება	180.0	110.0	107.9	98.1
05 01 05	რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონის ფუნქციონირების ხელშეწყობა	382.0	290.0	289.6	99.9
05 01 06	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	1,626.2	1,330.0	1,328.4	99.9
05 01 07	სხვადასხვა სახეობის სპორტულ - გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	6,430.0	1,680.0	1,679.7	100.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	9,247.9	6,670.0	6,649.1	99.7
05 02 01	კულტურულ სახელოვნებლო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა	5,741.6	4,240.0	4,228.8	99.7
05 02 02	ი. ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის ხელშეწყობა	1,026.0	740.0	735.9	99.4
05 02 03	ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა	1,100.0	830.0	829.3	99.9
05 02 05	კულტურის ღონისძიებების დაფინანსება	1,380.3	860.0	855.1	99.4
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	295.6	200.0	191.5	95.8
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	7,331.1	4,923.3	4,842.9	98.4
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,973.0	1,470.0	1,456.8	99.1
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	305.0	215.0	214.9	100.0
06 01 02	მედიკამენტებით უზრუნველყოფა	280.0	190.0	183.1	96.4
06 01 03	სამედიცინო დახმარება	1,280.0	998.0	997.4	99.9
06 01 04	ეპილევსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა	50.0	35.0	30.4	86.9
06 01 05	ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა დახმარება	58.0	32.0	31.0	96.9
06 02	სოციალური უზრუნველყოფა	5,358.1	3,453.3	3,386.1	98.1
06 02 01	სოციალური საცხოვრისის კომუნალური ხარჯების უზრუნველყოფა	40.0	30.0	28.3	94.3
06 02 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება	1,030.0	730.0	728.5	99.8
06 02 03	სარიტუალო დახმარება	14.0	10.0	6.3	63.0
06 02 04	სოციალური ღონისძიებები	565.0	325.0	323.3	99.5

06 02 05	სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა	160.0	110.0	107.1	97.4
06 02 06	განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა თანადგომა	170.0	115.0	107.6	93.6
06 02 07	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	98.0	70.0	66.7	95.3
06 02 09	უფასო კვება	943.0	680.0	673.0	99.0
06 02 10	კოხლერული იმპლანტით მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება	15.0	13.0	11.2	86.2
06 02 11	ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა	55.0	40.0	37.8	94.5
06 02 12	შინმოვლა	70.0	50.0	48.8	97.6
06 02 13	სოციალური საცხოვრისის მშენებლობა	477.1	260.0	256.7	98.7
06 02 14	აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია	1,130.0	760.0	754.1	99.2
06 02 15	შ.შ.მ. პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება	25.0	10.0	7.1	71.0
06 02 16	შშმ პირთა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ხელშეწყობა	18.0	10.0	8.3	83.0
06 02 17	მარტოხელა მშობელთა დახმარება	15.0	10.0	9.3	93.0
06 02 18	ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დახმარება	4.0	1.5	1.0	66.7
06 02 19	საქართველოს "sos" ბავშვთა სოფლის მიერ განხორციელებული პროექტის - დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარების პროგრამა	30.0	15.0	14.0	93.3
06 02 21	ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორ დადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტით დახმარება	90.0	70.0	62.4	89.1
06 02 22	გადაუდებელი რეაგირების პროგრამა	150.0	110.0	103.2	93.8
06 02 23	მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების (ნულოვანი მხედველობის) მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაცია	10.0	2.0	1.7	85.0
06 02 25	ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა შინ მოვლის საპილოტე ქვეპროგრამა	10.0			
06 02 26	სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდაჭერა	25.0	1.3	1.0	76.9
06 02 27	მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა	60.0			
06 02 28	ონლაინ სწავლების პერიოდში სოციალურად დაუცველი ოჯახების განათლების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამა	2.0	0.5	0.5	100.0
06 02 29	ფილტვის კიბოს სკრინინგის მუნიციპალური ქვეპროგრამა	1.0			
06 02 30	სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის განათლების ხარისხის ამაღლება	40.0	30.0	28.2	94.0
06 02 31	შშმ პირთა საერთაშორისო დღე	10.0			

06 02 32	ახალი კორონავირუსით ინფიცირებული პირების დახმარება	1.0			
06 02 33	ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური გაძლიერება	70.0			
06 02 34	ბავშვის განვითარების ხელშეწყობა	30.0			
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	1,692.0	1,275.0	1,266.8	99.4
07 01	თვითმმართველობის ქონების რეგისტრაციის, დაცვისა და ბალანსზე აყვანის პროგრამა	50.0	20.0	17.6	88.0
07 02	ქალაქის გენერალური გეგმის შედგენის პროგრამა	270.0	270.0	270.0	100.0
07 03	ეკონომიკის სტიმულირებისა და ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა	172.0	25.0	22.0	88.0
07 04	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	1,200.0	960.0	957.2	99.7

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

ასიგნებების ზღვრული მოცულობები 2023-2026 წლებზე

1. ინფრასტრუქტურა (პროგრამულ კოდ 02 00)

(ათას ლრში)

